ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 10.05.23

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი - 007/23

შეკითხვა:

ადვოკატს ტელეფონით დაუკავშირდა მოწინააღმდეგე მხარე და სთხოვა ადვოკატის მარწმუნებლისთვის, სხვა საქმესთან დაკავშირებით, ინფორმაციის გადაცემა, რადგან აღნიშნული პიროვნება მასთან კომუნიკაციაზე არ გამოდიოდა და ის თავად ვერ ახერხებდა ინფორმაციის გაზიარებას. ადვოკატმა კლიენტს მიაწოდა ინფორმაცია, რომ მას დაუკავშირდა მოწინააღმდეგე მხარე. კლიენტმა, ადვოკატის მიმართ გამოხატა უკმაყოფილება.

არის თუ არა ადვოკატის ქცევა პროფესიულ ეთიკასთან შესაბამისი?

ანალიზი:

ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მე-5)

ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი მე-5მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და მე- 3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი)

ადვოკატის მთავარი ვალდებულება კლიენტის ინტერესების დაცვაა. ადვოკატმა საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, კანონიერების პრინციპის დაცვით, უპირატესად უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებით და დააყენოს ის პირად თუ მესამე პირის ინტერესებზე მაღლა. ამავდროულად ადვოკატი ვალდებულია უზრუნველყოს კლიენტის სრულყოფილი ინფორმირება. კლიენტი, ადვოკატის მხრიდან, სრულად უნდა ფლობდეს მიმდინარე ან მასთან კავშირში მყოფ საქმეზე ინფორმაციას, რადგან ადვოკატსა და კლიენტს შორის ნდობის ჩამოყალიბება პირველ რიგში, კლიენტის ინფორმირების ვალდებულებების დაცვას უკავშირდება.

კონკრეტულ შემთხვევაში, ადვოკატის ქცევა, რომლითაც მან საკუთარ კლიენტს აცნობა, მოწინააღმდეგე მხარესთან, მისი ინიციატივისგან დამოუკიდებლად წამოშობილ კომუნიკაციაზე, შეესაბამება ეთიკის ნორმებს. ადვოკატი არათუ უფლებამოსილი, არამედ

ვალდებული იყო კლიენტისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია, რომ მას დაუკავშირდა მოწინააღმდეგე მხარე.

დასკვნა:

ადვოკატი არათუ უფლებამოსილი, არამედ ვალდებული იყო კლიენტისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია, რომ მას მოწინააღმდეგე მხარე დაუკავშირდა, შესაბამისად ადვოკატის მსგავსი ქმედება არ დაარღვევს პროფესიულ ეთიკას.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.